


№ 3-67



ყოველ-კვირეული ჟურნალი

№ 14

შელიძის გამოსა



დავით ბ.	_____
ნათნა ბ.	_____
გიორგი ბ.	_____
სოსო ბ.	_____
მარიამ ბ.	_____
საბუღალტრო	_____

*97/136*

ფასი 10 კპპ.



---

მონათხროვით კოოპერატიული რამე

≡ „**ლილი**“ ≡

საქონლის  
საზღვარი

მკრძევეთა ამხანაგობა „ლილი“ თავისი ნამდვილი და ჭიკაძესური რძით მოიბოვებ კარ-  
გი ბზარი და ახლა აფართოვებს თავის საქმეებს, რითაც შეძლებს მიეცა მსურველთ  
მიმართოს საუკეთესო რძე ბინახედ, ცხელი დაბეჭდილ ჭურჭელით.

რძის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „ლილი“ Габаевский пер. № 5. და  
ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: Барятинская 5.

---

---

ფრანგულ-კავკასიური

საეაქრო და სამრეწველო ბიურო

„**იპერია**“

კარისუი

≡≡ იძლევა უოველ გვარ ცნობას,

ჰუიდის მადნეულობას და სხ. ≡≡

ადრეხი: Paris Faubourg Montmartre 10

---



33/05  
3-67



№ 14

31 მარტი 1913 წ.

წიგნების  
შვიდობა ხელის მოწერა ფასი  
1 წლ. — 5 მან. 6 თვ. — 2 მ.  
75 კ. 3 თვ. — 1 მ. 50 კ. 1  
თვ. — 50 კ. სოფლის მასწავლე-  
ბელთ, სამკითხველოებს და  
უმადლეს სასწავლებლებში მო-  
სწავლეთ დაეთმობათ 4 მან.



უოცველ კვირეული საზოგადო. ეკონომ.

მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 10-3 საათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზისა: თბილისი კლდე.

### ჟურ. კლდის კანტორისაგან

რედაქციაში იყიდება ჟურნალ კლდის და-  
კავშირული კომპლექტები 1912 წლისა. ფასი ქა-  
ლაქში. — 1 მან. ქალაქ გარედ — მან. და 25 კ. 1

ყველა ხელის მომწერთ ვთხოვთ დროით  
შეგვატყობინონ ხოლმე, თუ რიგზედ არ მის-  
დით ჟურნალი, რომ თავდარიგი დავიჭიროთ.

ს ა რ ჩ ე ვ ი: ცრემლები. ეკ. გაბაშვილისა. არ-  
ხილ ჯორჯაძე. — ა — ისა. შინა პრეწვ. აკო-  
ნია. — თევდ. ლლონტისა. პრესა. ნუგუში. — ი.  
მჭედლიშვილისა. მიმჭრ. სულის აღს. — დ.  
კასრადისა. ისევ კახეთის რკინის გზა. — რ, გ —  
ესი. საადგილ-მამულა კომისიის რეორგანიზაცია.  
ხატისაყვის სერთუკა. ფ. ფ — ესი. კიევის კო-  
მერციულ ინსტიტ. — ნ. დიდებულიძისა. მანგ-  
ლისი. — სემიტისა.

### ც რ ე მ ლ ე ბ ი

(არჩილის კუბოზედ)

იქნებ აკვანში ის ყრმა წვეს,  
ვისიც არ ითქმის სახელი,  
ვისაც დღე და ღამ ნატრულობს  
ჩუმის ნატვრითა ქართველი?  
იღია.

ცრემლები, ცხარე ცრემლები, ცრემლე-  
ბი წრფელი და გულის მწველი, ცრემლები  
მწუხარების და გულის ტკივილის, ცრემლე-  
ბი უძლოურებისა, რომ ვერ წაართვი ხვედრს  
ძვირფასი, საყვარელი თვალის ჩინი — ნაკა-  
დულად სდის დღეს ყველა ქართველს და  
თან დანაკარგის ტრფიალებას აღრმავენს, ამ-  
შენიერებს, მწუხარების ტკივილს აღბობს,  
ნელსაცხებლობას უწევს, ჭრილობას მირო-

ნივით ეგლისება და ცრემლებით ჩამობანილ  
თვალეებს შორს მხედველობა ანიჭებს! შორს,  
შორს ზღუდეზედ ნათელ სვეტს უყენებს?  
ცრემლები ესე, სახიერებანი გულის ტკი-  
ვილისა არჩილის სიკვდილის გამო, თითქო  
ტკბებიან, დაჩაგრულ სულს და გონებას ია-  
ზმის შარავანდელით ესხურებიან და ძვირდა-  
სი მიძინებულის გამოუიმედობის სასოწარკვე-  
თილებების სამაგიეროდ, რალაც ზვალმტაცს



ჩაგჩურჩულებენ. გონების თვალს, სულის კიდევებს რაღაც სინარნარეს, სისპეტაკეს აგრძნობინებდნენ, ანეტარებენ...

სტირი, ცრემლები გდის, ნაკადული მდულარებისა დაუშრეტელად თვალთაგან მოგდის, მაგრამ არა გწყლავს, აღშფოთებას არ იწვევს შენში, ეს ცრემლები საღმუნებაა, წრმენის აღმძვრელი სასოებაა, რელიგიური ექსტაზი არის და შენს იმედებს, წინათ-გრძნობა, ასხივოსნებს, ზეცად მიიწვევს.

წინამორბედის კვალს მიგიყოლებს, გზას გაგინათებს, დანერგავს შენში რწმენას განუხრწნელს.

არჩილი აჩრდილი არის, წარმოდგენა-მოჩვენებაა იმ ხელ-შეუხებელის იდეისა, რომლის სიმართლე შეუყენებლივ მიდის და მივა კიდევ იქ, სადაც არჩილნი სულით სპეტაკნი და გულით ნაზნი მიისწრაფიან დე მათ თან მისდევთ მიმდევარნი, მორწმუნეთ გუნდნი შეუპოვარნი. არჩილი იდეალია, ესენციაა იმ ნაპერწკლების, რომელიც გაფანტულია ერის გულისა სიღრმეში და მხოლოდ არჩილებს ძალუძთ შეკრება ამ ნაპერწკლების, მათი აღგზნება, კოცონად ქცევა და სამსხვერპლოზედ მათი მიტანა.

ცრემლები მოდის, გული მტკივა რომ კაცი მოკვდა, ხორციელი მისი შედგენილობა მიწად იქცევა, მაგრამ სული ჩემი ღმობიერობს, ცრემლებით გაბანილი სული იგი ნებიერობს, აღმაფრენას ეძლევა და ნეტარეობს! დიახ ნეტარეობს, ამაყობს იმით, რომ ერმან შობა შვილი უებრო, მირონცხებული, რომელმაც მისცა ერს თვით-შეგნება, აზრი დაუდო, გზა გაუკაფა და იარაღად ყველა ამისთვის იმან იხმარა, მხოლოდ სიმართლე, დიდსულოვნობა, აზრი სპეტაკი და სიყვარული დაუშრეტელი!

ექ. გაბაშვილისა.

24 მარტი.

# არჩილ ჯორჯაძე

ქართული

ქართველებს ჩვეულებად გვაღაგვექცა ჩვენი საუკეთესო მიცვალებულნი დიდუბეში მივასვენოთ. ნაშთი, რომელიც წარსულ ორშაბათს ჩვენ იქ მივაცილეთ პირველი არ იყო. ჩვენ ვყოფილვართ იქ აღრევაც ჩვენ, უეჭველია, კიდევ მივალთ იქ. მაგრამ ის გრძნობა, რომელიც ღვიოდა მაშინ ჩვენ გულში, განსაკუთრებული იყო, ნება მიბოძეთ ამ გრძნობას მწუხარება არ უწოდო. მე მგონია, ჩვენ ვფიქრობდით იმ დღეს. და ვფიქრობდით კი მიტომ, რომ ემარხავდით ადამიანს, რომლის სახელი სამუდამოდ გადაბმულია ქართულ პოლიტიკურ ფიქრებთან.

ვინ იყო არჩილ ჯორჯაძე? თუ ავიღებთ ყველა იმას რაც მას უწერია, რაც მას უფიქრია და განუცდია, თუ ავიღებთ ყველა ამას, იგი მუდამ სფინქსად დარჩება ჩვენთვის. ერთის მხრივ ის თითქმის პირველი იყო, რომელმაც ჩაუყარა საძირკველი ქართველ ხალხის პოლიტიკურ პროგრამას და სურდა ყოფილ სამეფოსთვის დაებრუნებინა ელემენტი სახელმწიფოებრივობისა ე. ი. თვითმმართველობა და მეორეს მხრივ კი, სოციალურ სამართლიანობის ნიადაგზედ, იგი მივიდა სახელმწიფოს სრულ უარყოფამდე. თუ როგორ თავსდებოდა ეს ორი მოწინააღმდეგე თეორია მის აზროვნებაში, ამის პასუხს მიიღებს ყოველი მსურველი მის თხზულებიდან, მაგრამ რაც უნდა ლამაზად იყოს შეკავშირებული ეს ორი მოწინააღმდეგე აზრი მის თხზულებებში—ტრაგედია მისი სულისა მაინც სწორედ ეს იყო.

აი რათა გესურს ჩვენ არ შევეხოთ დღეს მთელ მის აზროვნებას, როგორც რთულ მსოფლმხედველობას და ჩვენი წერილი მის ხსოვნისადმი მიძღვნილი, შემოვსაზღვროთ იმ სფეროთ, რომელ სფერაშიაც იგი პირველად ეჩვენა ქართველ საზოგადოებას - არჩილ ჯორჯაძე, როგორც მებრძოლი ეროვნულ უფლებებისათვის.

კულტურული ძალაც საქართველოსი, მისი ეკონომიური ვითარებაც არსებითად მაშინაც იგივე იყო, როცა არჩილ ჯორჯაძე გამოვიდა, რაც მის გამოსვლამდე. მაშასადამე არც თვით იგი, არც მისი პროგრამა არავითარის ზრდით არ იყო გამოწვეული. ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის და ყველაფერი მოულოდნელი ყოფილა და ის, რაც მოჰყვა მის გამოსვლას, შესაძლებელია მომხდარიყო ათი



წლით მაზედ აღრე, როგორც ათი წლით მაზედ გვიანაც. ნამდვილად კი, უკანასკნელ ათი-თხუთმეტი წლის ისტორიაში, იგი გამოდის როგორც შემქმნელი თვით ამ ვითარებისა და ქართული პოლიტიკური აზროვნება დაფუძნებულია სწორედ მისგან. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ის იყო ღმერთი, რომელმაც პირველმა სთქვა კეთილი „სიტყვა“ მაზედ აღრეც გვიკანდნენ მოღვაწენი, რომლებმაც მაზედ აღრე სთქვეს უკვე კეთილი „სიტყვა“, მაგრამ სამაგიეროდ ის იყო ნათლის მცემელი, რომელმაც მონათლა „ღმერთიც“ და თვით „სიტყვაც“. და ამის შემდეგ იმ „ღმერთმა“ ხალხში დაიწყო სიარული, ამის შემდეგ „სიტყვა“ იგი მოიფინა ხალხში, აი, მისი დიდი ღვაწლი! მის საზოგადო ასპარეზზედ გაქოსვლამდე ქართველი საზოგადოება თავის პოლიტიკაში, მხოლოდ კეთილის სურვილებით იქცევდა თავსა, მას არ ჰქონდა გარკვეული პროგრამა, აღმოცენებული ეროვნულ ნიადაგზედ. ჩვენ გვიყვარდა ანგარიშ მიუცემლად და კი არ ვიცოდით, რა გვიყვარდა. ჩვენ მივისწრაფოდით, როგორც „თავგანწირული მხედარი“ და კი არ ვიცოდით საით? ჩვენი ცხოვრება დახასიათდებოდა იმავე მერნის ლტოლვით, რომლის სადავე მიუშვა ოდესღაც ნ. ბარათაშვილმა და რომლის შემდეგ რიგ-რიგად ყველა ჩვენი საზოგადო ბელადი იჯდა მაზედ. ეს იყო დრო თავ-განწირულ მხედართა, რომელნიც გაურბოდნენ ცხოვრების სიღუბსირეს, რომელთაც თავის ქვეყნის ბედი საკუთარ ქუსლებზედ გამოეკრათ, რომ გადაერჩინათ შავ ყორნისაგან. ნურავინ იფიქრებს რომ ეს არ იყო ბრძოლა! ეს იყო ბრძოლა, ეს თუ გნებავთ იყო სროლა გაშმაგებულ მონადირისა, მაგრამ სროლა უმიზნოდ და სწორედ ასეთ დროს გამოჩნდა არჩილ ჯორჯაძე.

და ერთსა და იმავე დროს მან შექმნა ორი რამ. მან გაწვრთნა ჩვენი მერანი, რომლის ლტოლვილებას საზღვარი დაუდო, ესე იგი დაუახლოვა თავის მიზანსა და მან მოგვცა ნიშანი, ურომლისოდაც მანამდე არ ვიცოდით, ვარტყამდით თუ არა მიზანს. ეხლა ჩვენი მდგომარეობა ისეთი თავ-განწირული აღარ არის, როგორც ნ. ბარათაშვილისა, რადგან იმის გარდა, რომ ჩვენი მერანი ისევ მდგრად მიჰქრის, ჩვენ ვიცით აგრეთვე ის საიღუმლო, რაც არ იცოდა ნ. ბარათაშვილმა. ჩვენ ვიცით ეხლა საით მიჰქრის ჩვენი მერანი.

გადათარგმნეთ ყველა ეს პოლიტიკურ ენაზედ და არჩილ ჯორჯაძის სახით თქვენ მიიღებთ დიდ

პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო თავის სამშობლოს გარკვეული პოლიტიკური პროგრამის შექმნით.

ქართული  
ბიზლიმეცა.

# შინა მრეწველობის აგონია ჩვენში

VI

## საით წავიდეთ, რა გზას მივმართოთ?

ქართულ ხალხს დამოუკიდებლობის სიურთში ბევრი ბევრი პოლიტიკურ ავტონომიის იმედი შეუძლია იქონიას. რაც შეეხება სრულ გამოყოფას რუსეთისაგან — ეს არც სასურველია და თან შეუძლებელიც, თუ ჩვენ რუსეთისა და ქართველ ხალხის ძალთა განწყობილებას გაუწევთ ანგარიშს. ამიტომ წმინდა ეკონომიურ პოლიტიკის სიურთში, ჩვენი ეკონომიური პროგრამა პრაქტიკონიზმის გარეშე უნდა იყოს შემუშავებული. სამწუხაროდ, ბ. არჩილ ჯორჯაძეს — რომელსაც ეკონომიურ პროგრამაში პრაქტიკონიზმი ჩვენი ხალხის ეკონომიურ აღდგენის საშუალებადა აქვს დასახული, — დაწვრილებით, კონკრეტულად არა აქვს გარკვეული აუ რაჩადრად შეიძლება მისი რეარულად განხორციელება, ხოლო პროგრამა ეფუძლავის კონკრეტულ პირობათა შემუშავებასაც გულისხმობს და რადგანაც — ერთნულ თვითცნობიერების და ბრძოლის საუკეთესო და უმაღლესი ფორმაც რომ წარმოვიდგინოთ — ამ შემთხვევაშიაც შეუძლებელია თავისუფლად ეკონომიურ პოლიტიკის წარმოება, ამიტომ ჩვენ იძულებული ვხდებით ისევ სხვა გზას დავადგეთ, სხვა ხაზი პროგრამა შევიმუშაოთ, რომლის დაწვა და განხილვაც რეალურად ხელს უწყობდეს ეკონომიურ ცხოვრების, მრეწველობის აღდგენას.

რა გზა უნდა იყოს ეს გზა?

საკანგებო ეკონომიური პოლიტიკა და პროგრამა ჩვენში სათანადო შემუშავებული არაა. არჩილ ჯორჯაძის პროგრამის წინააღმდეგ კი უმთავრესად ბ. ნაყ უორდანიამ გაილაშქრა, რომელმაც ერთიანად უარჯყო ჯორჯაძის პრაქტიკონიზმი, მანათლა ის ბურჟუაზიულ ადუფლოგიად, თუმცა მას კონტრ-პროგრამა სახეცვლად არ შეუშუშავებია. ასე მაგ. ბ. ნაყ უორდანიამ არჩილ ჯორჯაძის ეკონომიურ პროგრამის გამო ამბობს: „რადგანაც კაპიტალიზმის განვითარება, ბურჟუაზიის განქნა და მუ-



შათა მოძრაობის დაწყება ჩვენში აშკარა ფაქტად შეიქმნა, ამიტომ ბ. ჯორჯაძე ამ ხალხ მიმდინარეობას უწევს ანგარიშს და თავისი ეროვნების შინაარსად აცხადებს ბურჟუაზიას“ (კურსიუი ჩვენია). საიდან გამომდინარე ასეთი დასკვნა ბ. ნ. ჟორდანიამ? უმთავრესად იქიდან, რომ ჯორჯაძემ ეკონომიურ პროგრამაში მთავრელობითი სისტემის (покровительственная система) შემოღება დაინახა საჭიროდ. და აქვს ბ. ჟორდანიას ბურჟუაზიის იდეოლოგიას უწოდებს და როგორც ასეთს, აბუხად იგდებს. ჩვენ არ გამოუდგებით ბ. ჟორდანიას აზრების კრიტიკას; ჯორჯაძეს, პროტექციონიზმი სრულებით ბურჟუაზიისათვის არ გამოუგონია, ამით ის მთელ ცხოვრების ადგენას ქადაგებდა და თუ ეს მოასწავებს აგრეთვე ბურჟუაზიის გაძლიერებას, განა ეს ნიშნავს ბურჟუაზიის სამსახურს? თახი აკვისტოს აქტიები საფრანგეთის რევოლუციის დიდი ერთგული საქმე იყო, მარა ვინ იტყვის რომ ასეთი აქტი მხოლოდ ბურჟუაზიას უნდა მოეხდინა, რადგანაც ამ აქტით უფრო ბურჟუაზია ისარგებლებდა. ბურჟუაზია საშიში სრულებით არაა, საშიშია ბურჟუაზიის განუვითარებლობა, რადგანაც როგორც მარქსი ამბობდა, ბურჟუაზიის გაძლიერება, ბურჟუაზიის სიკვდილს მოასწავებს და ახალ აღთქმულ ქვეყნის დაახლოებასა. ეს გარემოება კი მხედველობიდან გამოსტყვა ბ. ნ. ჟორდანიამ, რადესაც ის ჯორჯაძეს ბურჟუაზიის იდეოლოგიად სახავდა.

ამ სფეროში ჩვენ ვერც ჯორჯაძის პროგრამა გვაკმაყოფილებს და ვერც ჟორდანიას ბუნდოვანობა; და კულ მოკვებელი სიტუაციები საკითხის გარკვევაში პირდაპირ შეუძლებელია, ამიტომ აზრი რამდენადან შეიძლება ხათლად და მარტივად უნდა იქმნას გამოთქმული. ხოლო ეს აზრი აუცილებლად უნდა შეფერვებოდეს და ეკუთვნოდეს ცხოვრების რეალურ პირობებს და ოცნებას მისში ყოველივე კარი უნდა ქქონდეს დახშული.

ჩვენ პირდაპირ სახსახო ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, რომ მრეწველობის ადგენა დამოკიდებულია არა მარტო ეკონომიურ პოლიტიკაზე - თუმცა ეს პოლიტიკა უადრეს რაღაც თამაშობს ამ შემთხვევაში—არამედ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაზე. შემდგომად, ცხოვრების მიერ უკუგდებულია უკიდურესი შეხედულებანი, როგორც მერკანტილისტებისა ისე პროტექციონისტებისა, რომელნიც მრეწველობის თუ მეურნეობის ადგენას ფიქრობდნენ გარეშე ახვით მწარმოებელ ხალხისა. ისინიამ კლასიკური მაგალითი მოგვცა თუ რა შეუძლიან მწარმოებელ ძალთა პირობების გაუმჯობესებას. ამერიკის შტატებში ერთი შტატი ეკონომიურად განვითარებული იყო მეორეზე, უსწორ-მასწორება იყო მათ შორის, მაგრამ მწარმოებელ ძალებისადმი განხიურულმა პოლიტიკამ თათქმის

ყოველი შტატი ასწია ეკონომიურად და სოციალურად და აწინაურა. განა მართველობის დემოკრატიზაციამ და კონსერვულ პოლიტიკის წარმოებამ არ დაამუარა ხალხში განცილებით უმჯობესი მდგომარეობა შევიწროების განხიურებაში, ვინემ სხვა რომელიმე სახელმწიფოში? ფრანსუა კენე ამბობდა: მთელი ეურადდება სახელმწიფო მოღვაწემ მიწად-მომქმედს უნდა მიაქციოსო, ჩვენ კი დღეს ვხედავთ, რომ ცხოვრების სიმდიდრეს ქქმნის ხალხის, მუშათა ცოცხალი ენერჯია, ძალა და თუ ჩვენ ამ ძალას არეს გაუხსნით, გავავითარებთ, ჩვენშიაც გამოვიწვევთ ცხოვრების გაძლიერებას, ეკონომიურ ცხოვრების აუვაგებას... ალა-დგინეთ ხალხის შეიდეგლობითი ძალა, გააუმჯობესეთ სოციალური მდგომარეობა მუშისა, მოსპევით რუსეთის სახელმწიფოს გადამეტებული დუხჭირი სოციალ-ეკონომიური თუ წმინდა ფისკალური შევიწროებანი, მოაწესრიგეთ გადასახლების საქმე, გახსენით ფართე და ძლიერათი კრედიტი, ხელი შეუწევთ საწარმოო იარაღების გავრცელებას... და თქვენ ხსნავთ. რომ ყოველივემ ფერი იცვალას, ცხოვრებას გამოცოცხლება დაეტყოს, აღორძინდეს მეურნეობა, მრეწველობა, ალებ-მიცემობა.

რანაირად შეიძლება ეველა ამის შესრულება?

საამისოდ ორი საქმე უნდა გაკეთდეს: ქართველი ხალხი, როგორც ძირ-ფესვიანად განსხვავებული რუსეთის ხალხისაგან, სრულიად უნდა იქმნას განთავისუფლებული და ყოველივე საზოგადო ცხოვრების საჭიროებანი კანონმდებლობითი პარლამენტის საშუალებით ადგილობრივ უნდა სწუდებოდეს. ამის მიღწევა შესაძლებელია ჩვენია ხალხის განვითარებით და ბრძოლის გაცხოველებით. რადგანაც სრულიად თავისუფალ ეკონომიურ პოლიტიკას ჩვენ ვერ გავატარებთ, ამიტომ ქართველი ხალხის მწარმოებელ ძალების განვითარება დასრულებულ იქნება მთელ რუსეთის სახელმწიფოს დემოკრატიზაციით, რაიც გაცილებით ღიბერალურ ზომებს წარმოძობს, ამ რიგად, ჩვენი მუშაობის გეგმა სოციალური და ხაციონალურია. რუსეთის დემოკრატიული წუობილება ფისკალურად ხაკლებად დააწევა ჩვენ მხარეს, ხოლო ადგილობრივი პოლიტიკური მართველობა—რაიცა ხალხს, მწარმოებელ ძალებს მუშაობის საუკეთესო პირობებს შეუქმნის, აქედან საზოგადოებაში გაჩნდება და დაგროვდება მეტი სიმდიდრე, რომელიც თავის და უხეუზად კიდევ მეტი სიმდიდრის შესაქმნელად დატრიალდება. ეს კი ეკონომიურ ცხოვრების განახლება, მრეწველობის აუვაგებაა, აქედან ჩვენი ხალხის ძალების განვითარება აუცილებელია, კულტურის გავრცელება და უმაღლეს სოციალ-ეკონომიურ ფორმაციების მიღწევა სათავისთავო მოვლენა იქნება.



აი რა გზით ვფუქრებით ჩვენ ჩვენა ცხოვრების უოველი მხრის აღდგენა-განვითარებას.

თევდ. ლლონტი.

### შ რ ე ს ა

„სახალხო გაზეთის“ ბელადს არ. ჯ—შვილს ლიტერატურულ პოლემიკაში „ახალი“ მეთოდი შემოუღია, —თაღლითობის მეთოდი.

ამ მეთოდის საშუალებით იგი მართლაც პეტიკრობს აღადგინოს თავისი დაცემული „დემოკრატიული პრესტიჟი“ და „მოუღოს ბოლო“ მოწინააღმდეგეს. ჩვენი ჟურნალის მეთორმეტე ნომერში შემდეგს ვამბობდით:

„რუსეთი დემოკრატიული პრინციპებით კი არ არის ღარიბი, მასში ნაკლები უფლებრივ პრინციპის შეგნება. რუსეთში კანონი მუდამ იყო, მაგრამ ამასთანავე არსებობდა მთავრობის „ფართო შეხედულობა“, რომელიც ბოლოს უღებდა ყველა კანონს“.

არ.ჯ — შვილს ეს ციტატა უკლებლივ მოჰყავს, თან კარგად იცის, რომ მკითხველი არც ისე სულელია, რომ არ შეეჭლოს ამ ამონაწერის გაგება, მაგრამ მაინც იქვე, მკითხველის წინაშე ლიტერატურულ თაღლითობას სჩადის და ასე ხსნის ჩვენ სიტყვებს:

„უბრველესად ყოველასა საურადღებოა შემდეგი უცნაური აღმოჩენა რუსეთში თურმე ბევრი დემოკრატიული პრინციპი და ბევრი დემოკრატიული კანონი უოფილა.“

ამ თაღლითურ აბსნაზედ დაათუძნა ბ. ჯ—შვილმა მთელი თავისი უშველებელი წერილი, „კლდის“ წინააღმდეგ, რიხიანი სათაურით „გალაღებული აზროვნება“. და რა ფასი ეძლევა ეხლა არ. ჯ—შვილის წერილს ამ გვარ გალაცებულ აზროვნებით, მკითხველისთვის ცხადი იქნება.

„დილის“ უბილო ეშმაკს ძალიან აცინებს „სახალხო გაზეთი“:

„შე უმთავრესად „სახალხო გაზეთმა“ მაცინა. მთელს საქართველოში, მხოლოდ უბადრუკი ჟურნალი „კლდე“ გამოდგა, რომელსაც „სახალხომაც“ კი წასძახა თავად-აზნაურთა იდეოლოგობა!..“

განა ასე მალე უნდა დაავიწყდეს სახალხო გაზეთს ოთხი-ხუთი თვის წინანდელი არჩევნები და თავად-აზნაურთა ფეხ-ქვეშ ხობვა? **„ვიდრე „სვინუშკებს“\*) სთვლიდუ დაია, სჯობს გასინჯო შენივ თავია!“**

ხითხითით დასძენს კრილოვის სიტყვებს ბ. ეშმაკი. მაგრამ იქნება თვით „დილი“-ს ეშმაკებს დაავიწყდათ, რომ ამ ოთხი-ხუთი თვის წინად, არჩევნების დროს, ქართველი სოციალ-დემოკრატია სომხის პლუტოკრატიის ფეხ-ქვეშ ხობავდა? და ეხლაც განაგრძობს ამ ხობვას?

**„ვიდრე დაიებს სთვლიდუ „სვინია“\*\*) სჯობს გასინჯო შენივ თავია!“**

დაუმატებთ ჩვენც არა კრილოვის სიტყვებს:

რაც შეეხება ხის რევოლუციას, — ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ასეთს საპოლიციო უბნისებურ ნართაულ ლაპარაკს რა დამოკიდებულება აქვს ჩვენი ჟურნალის მიმართულებასთან — ამას ბატ. „ეშმაკის“ ხის ტვინი თუ აგვიხსნის.

ჩვენ ჟურნალში მოთავსებულ წერილის შესახებ: „რუსთაველის ძეგლის გარშემო“. გ. დიასამიძე სწერს: „პირველადის ფინიანობით გატაცებული ხალხი სხვაგან მასძებნონ, ტუუილად „თემის“ რედაქციაში ნუ დაეძებენ... ამ დიდი საქმის მოწეობის დროს სწორედ სირცხვილია იმისთანა წვრილმანი რაშის გამოკიდება, თუ ვინ გამოსთქვა პირველად პრესაში სურვილი მთელი ქართული ხალხისა.“ პირველი წინადადების შესახებ ის შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ არსად არ გვითქვამს, ვითომც „თემის“ რედაქცია „პირველადის ფინიანობით“ არის გატაცებული. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნეთ ისტორია იმ საკითხისა, რომელიც ახალ სიტუვად მოეჩვენა „თემს“. რაც შეეხება მეორეს, რომ „ამისთანა წვრილმანების გამოკიდება“ ვითომც „სირცხვილი იუოს“, შეგვიძლიან შევნიშნოთ, რომ სირცხვილი კი არა „უპატრივისცემლობა იქნება მთელი ჩვენი ძველი მოღვაწეებისა“, რომ ჩვენ ისინი არ გაუიხსენოთ, როგორც ამ საქმის დამწეებნი. როგორ? თქვენ გვარწმუნებთ, რედაქცია „სრულებით არ შეჭნება საკითხის ისტორიასა“, და იმავე დროს ამაყად გაიხსენებდით, რომ თქვენს შეგობარს

\*) „სვინა“ ქართული სიტყვაა და ნიშნავს „კუმუშკას“ „ეშმაკი“

\*\*\*) „სვინია“ რუსული სიტყვაა და ნიშნავს „სვინიას.“ „კლდე“.



„ცნობილ ლიტერატორ ალექსანდრე უახსელს თქვენთან ერთად ჭკრ კიდევ გასულ წელს“ რედაქციაში თუ სადღაც როდისღაც ჰქონდა საუბარი ამის შესახებ. ეს ფაქტი გასახსენებელია, ანგარიში ხასკდები და გრიგოლ ორბელიანთა, შუღიქიშვილთა, ჭავჭავაძეთა, ბაქრაძეთა თუ ქართველთა შვილთა და სხვა და სხვა ჩვენ მოდგაწეთა ნათქვამებისა და დაწვობილ საქმის განსახილველად „წერილმანი არის“ და „სასიარცხვალად“ რას ნიშნავს ეს, თუ არა უმატივისცემლობას, ანუ გულუბრუნებლობას! დაგვეთანხმეთ, რომ მეტად მოუფიქრებელი შენიშვნა მოგივიდათ.

ეველა საკუთესთან ერთად თქვენ მეტად ახარებულად უფიქრობართ. აი ამისი ნიშნები: „მეგანი, უფროს

სასარგებლო იქნებოდა საქმისათვის, რომ დ. კასრაძეს გამოერკვია სად იხსება ეს ფული?“ — ვითომ და რატომ უნდა გამოერკვია? ან რა ლოდინი უნდა იქნებოდა ჩვენი წერილის მიხარსს და იმას, თუ სად, ან რაზე დახარჯავდნენ ამ ფულს...

მაგრამ იცით რა, ბ-ნო გრიგოლ, რაღაც და ჩვენი წერილიდან თქვენ შხოლოდ მტარედს შიქცოეთა უურადღება, ამიტომ გავიშუარებთ თუ რის თქმა გვინდოდა: ჩვენ, აღფრთოვანების ხალხი ვართ, რაც ფიქრად მოგვივა ის უკვე გაკეთებული გვგონია. ეს არის ჩვენი პოლიტიკური უმწიფობის ნიშანი.

ნუ დავაჟიწებთ, რომ „სიტუაციის დრო წავიდა“, რადგან ამას ხშირად ამბობდა მანტაგუცა, — „ქნდა საჭიროა საქმე, საქმე და შხოლოდ საქმე!“

## ნ უ გ ე შ ი

საუკუნეთა ქარავანი მიეჩქარება,  
კორიანტელად უკან მისდევს ჩვენი ცხოვრება...  
და არვინ იცის მისი ბოლო სად იკარგება,  
ან დასაწყისი იღუმალი სად იმყოფება?  
ან სად მივყევართ ცხოვრებისა სრბოლა-ტრიალსა  
და მის ტალღათა შეუსმენელ ყეფა-ღრიალსა?!

სადაც ოდესმე ვლენდნენ გმირნი, გრიგალი სცურავს  
და თვით ცრემლსაც კი მათთვის დაღვრილს აშრობს, ზე სწურავს,  
რომ მათი ხსოვნის საუკუნოდ წაშალოს კვალი,  
წაშალოს გმირთა სამახსოვრო ტკბილ-ნატამალი...  
ამაყად დგანან მხოლოდ მთები ყინვით შემკულნი,  
ჟამთა მოწმენი, მაგრამ უტყვნი, დადუმებულნი;  
მათ თავზე გრგვინვით გადუვლიათ საუკუნოებს,  
როგორც ქართველთა ქვეყანაზე მტერთა ურდოებს,  
ქექა-ქუხილით გმირთა ხსოვნა თან წაუღიათ,  
მაგრამ ეს გრგვინვა გულზევიად მთებს არც კი უგრძნიათ...  
ჟამნი კვლავ მოვლენ მრისხანებით, კვლავ განქრებიან,  
ხოლო ეს მთები მედიდურნი, აქ დარჩებიან.  
ჩვენ კი რანი ვართ?.. როგორც ფოთლებს შემოდგომისას,  
ყოფნის სიოც კი მოგვაშორებს ნათელსა მზისას!..

მაგრამ უკვდავ-ჰყოფს ღვთის განგება ცხოვრების ხიზანს,  
თუ კი მისდევდა თავგანწირვით საყვარელ მიზანს.  
დეე, უმუხტლოს ბედმა აღრე, ვერ მისწვდეს ზესკნელს  
და ბრბომ დასცინოს თავგანწირულს, უდროვოდ მზებნელს —  
ნუგეშად მაინც ის გაჰყვება, რომ მწვერვალს მოსწყდა  
და უმიზნოთა მაყრიონში ლაჩრად არ მოკვდა!



# მიმქრალი სულის აღსარება\*)

\* \* \*

...ორიოდ წუთსაც არ გაველო, რომ უეცრივ გაბრუებულმა პითიასავით წამოვიძახე:

— დორა!

თვითონვე შევეკრთი ჩემს ძახილზე. ცივმა ჟრუანტელმა დამიარა. ამასობაში შიგნიდან დორას ხმაც გამოისმა:

— მოხველი?

— ჰო, მოველი, მოველი ჩემო Mine d'or-ო, შენ რაღას აგვიანებ, რატომ არ გამოხვალ?

— ეხლავე, ეხლავე...

მართლაც, კარები გამოიღო. ასე შეგონა, დორა მთლად ღიმილის სამოსელში ჩამჯდარა მეთქი. ასეთი ლამაზი, ასე ნარნარა და მიმზიდველი არასოდეს არ მჩვენებია. მაგრამ ვიდრე გონზე მოვიდოდი, გამოქანდა და არა ჩვეულებრივის აღტაცებით ყელზე შემომექნა. გაეშრი. მიუწდომელი ბედნიერების „ლურჯი ჩიტი“ ჩემს ხელში იყო, ჩემს ხელში ფრთხილდებდა.

— დორა!.. წამოვიძახე განცვიფრებით. ასე შეგონა, ჯერ კიდევ სიზმარში ვარ მეთქი.

— ჩემო რაინდო, ჩემო მზის ქვეყნის შვილო! მე თუ შენი Mine d'or-ი ვარ, იმავე დროს ვიქმნები შენი ბედნიერების ველ-მინდორიც!

დორამ ჩემგან იცოდა, თუ ქართულად რას ნიშნავდა მინდორი. და აი, ისიც თითქმის ეშხზე მოვიდა, უფრო არტისტიული გატაცებით მხიბლავს... უსაზღვროდ ვიყავ ბედნიერი არ ვიცი რად, ეს სიყვარული მომეჩვენა მეტად ნაზად, მიმზიდველად. ჩვენ ყველას, კარლელის მზგავსად გვესაქიროება არსობითი პურის შოვნა, რომ მასში ახელილი იყოს საყვარელ არსების სინაზე. ვისაც მგზავს სატრფოს გული არ მოუპოვებია, იძულებულნი ჰხდებიან ეძიონ იგი ღმერთთა სამეფოში, სადაც მგზავს შევლას, მგზავს დახმარებას შესთხოვენ მისტიურ ღმერთს, ანუ იდეალს, ანდა ოცნებას. ისინი ჰქმნიან ოჯახს, აზრთა სამეუფოს სულს, რომელიღაც დაუსაბამო სივრცის გულსა, მხოლოდ იმიტომ, რომ ობლად აღარა გრძობდნენ თავს. მე კი მე, ვინც დედის კალთიდან გადმოვფრინდი უნდლი

ფრთებით და ნელ-ნელა ჩემს ობლობაში ვრწმუნდებოდი, ზედ ჯვარედინ გზაზე ვხვდები სულს, რომელიც თვითონ ესწრაფვის ჩემთან მოსვლას, ჩემს დახმარებას.

ზიზ-ლიონთა

— დორა, — წავიჩურჩულე ნეტარებით დამთვრალმა: რა რიგ მამედნიერებ, ღმერთო ჩემო, რა რიგ მამედნიერებ... მერე, რითი შემძლიან სამაგიერო გადაგიხადო, რითი, სთქვი რითი?

— ცხოვრების კანონი, — მეუბნება დორა, ითხოვს, რომ ახალგაზრდებმა თვითონვე შესძლონ ბედის დაწვნა...

დორას გული ზვირთსავით ჰბორგავდა, ეტყობოდა რომ გრძობათა მიმოქცევას ველარ უძლებდა:

— თუ შენც გიყვარვარ, ჩემო ძვირფასო ამბობდა დორა, — ახლა გთხოვ, გიყვარდე არა სიტყვით, არამედ საქმით დამიმტკიცო... ჩვენ ერთ-ერთისათვის უნდა ვიყვნეთ. მე მსურს, შენ მეკუთვნოდე, როგორც მე შენ. აი, მიმიღე, ამიერიდან მთლად შენი ვარ...

დორა შესდგა, ჩემს სახეზე განცვიფრება ამოეკითხა, მაგრამ იმ წამსვე განაგრძო, რომ ჩემს უცნაურს ცვალებადობის საშინელებაში არ დარწმუნებულიყო:

— იცი რა, ჩემო კარგო, მე ვერც კი წარმომიდგენია, რა დამემართებოდა თუ ისე განაგრძობ ცხოვრებას, როგორც აქამდე, ისიც ჩემს გვერდით, ჩემს მახლობლად. ჩვენ ერთ-ერთისადმი არასავეგრძობდით, როდესაც შორი-შორს ვიყავით, დღეს კი ცხოვრების სარბიელზე ჩვენი როლები შეცვლილია: შენმა სინაზემ და უბიწო გატაცებამ მთლად დამიმორჩილა... მაშ დაყოვნებაც მეტი არის...

— დორა! — შევაწყვეტინე მოულოდნელად, როცა შევატყე, რომ მოკრძალების საზღვრებს სცილდება.

— შენ, მაშინებ, ღმერთს გეფიცები, მაშინებ...

დორა შესდგა, თვალებში ჩამაცქერდა და ხელახლად დაიწყო იერიში:

— როგორ, გაშინებ რომ კოცნის წვიმით არ წავლევო? — გადიხარხარა გულიანად, შემდეგ ისევ თავდავიწყებით განაგრძობს, თუმცა ეტყობა, მის ხმაში ყალბი სიმტკიცე ისადგურებს:

— არა, ჩემო ბედნიერებავ, მე მეტად უძლური ვარ, რომ საშიშარის ქარტეხილით შეგაძრწუნო... მიყვარხარ და რა ვქნა, აი ჩემი დანაშაული.

\*) იხ. „კლდე“ № 9, 10, 11 და 12.



და შენც ხომ გიყვარვარ, განა არ ვიცი, რომ გიყვარვარ... ვხედავ რომ შენც...

— ჰო, მაგრამ...

მინდოდა რაღაც ფილოსოფიური განმარტება მიმეცა ჩემი სიყვარულისათვის, მაგრამ შევნიშნე, რომ ის ყურს არ მიგდებდა: ვნებათა ქარიშხალს გაეტაცნა, რაიც ასე აშკარად სჩანდა მის გაფიცვებულ პაწაწა მთრთოლვარე ტუჩებზედ, მიტბორებულს მელნის წყვილ ტბაში, სადაც ჟუჟუნის ნაცვლად მიმქრალ ღრუბლის ნაწყვეტს ობლად დაეწყო ხეტიალი; იგივე ვნება ეტყობოდა მკლავების თვითეულ ნაკვთს, მის ღია გულ-მკერდს, მის ყოველს ატომს. ოჰ, ღმერთო, რა საშინელი კონტრასტი იყო! როგორ შემზარდა მისი ყურება! მე, ვინც რომ სიყვარულისათვის გაგიჟებული ვიყავ, ვისაც მწყუროდა ამ უწმიდეს ცნებისთვის სამადლობელ გუნდრუკი მეკმია, უეცრივ ცეცილიას ნაცვლად ჰეკატას შევეჯახე, სიყვარული მანამდე რაღაც ეთერის ფერადებით მქონდა წარმოდგენილი, იგი მეგონა გრძნობიერი, ზეკაცური, მიუწდომელი, როგორც ყოველი თეთრ კაბიანი იდეალი, რომელიც თავისაკენ გვეძახის, შორიდან გვეკვლევება და აჩრდილივით დაუჭერელი კი არის. დღეს კი, ჩემდა საკვირველად, უეცრივ ვხედავ უფსკრულს, სადაც დორა ჩაგორებულა, უკედ, სადაც დორას საოცნებო ლეშის გარშემო ხორციელ დატკობის ენიან ვეშაპს საზარელი წივილი გაჰქონდა.

ოდნავი ხელის კვრით მოვიშორე. დორა გაშრა. არ მოელოდა. ფერი ეცვალა. ლულულულით ბოდნიში ძლივს მოვახერხე.

— ეს ვერაფერი ჯენტლმენობაა, თქვენმა მზემ, — უიარაღოს შეურაცხყოფთ. და მერე რატომ? იმიტომ, რომ ჯერ დამიმონეთ და ახლა კი ასე უდიერად ხელსა მკრავთ.

მეწყინა, რომ „თქვენობით“ გამომელაპარაკა.

— ეს წყრომის კილო, დორა...

მაგრამ მან სიტყვა ჩამომართვა:

— ხომ ჰხედავთ, რომ არაფრის წინ არ ვდრკები, ყოველისფერსა ვკისრულობ, ყოველისფერს...

— მე დედობა მსურს, გესმის, დედობა და არცა ვკითხულობ, ვინ რას იტყვის... მე აღვზრდი შენს შვილს, აღვზრდი და ზღაპრად სულ აღმოსავლეთისა და სამხრეთის მდევებზე, ფერიებზე მოვუთხრობ ხოლმე...

ამ სიტყვებთან ისე ნახად მაკოცა, ასე ოდნავად შემეხო, თითქო სურს მართლა თავის გულწრფელობაში დამარწმუნოსო. გედღეფეფეფეფეფეფე, ნარნარი ყელი ჩემს მხარს გადმოაჯდოდა მისი სიტყვებით ამიკვესა ძარღვთა ძაფები.

— დორა, დორა, — შევძახე მუდარებით, — გამანთავისუფლე, გენაცვალე, ხვალ შემოვივლი, ხვალ... აი, ეს ქარი გაივლის და შენ თითონ მიხვდები, რატომ არ დაგყე ნებასა. ნუ იფიქრებ, ვითომც გატყუებ, ან არ მიყვარხარ... დედას გეფიცები, მეტად მიყვარხარ, მიყვარხარ ისე, როგორც უმანკო ცეცილია... მაგრამ ამაზე ხვალ ვილაპარაკოთ, ხვალ... მარნაზე წავიდეთ, ვისერიწოთ, გავერთოთ და იმ სუფთა ჰაერზე გაგიზიარებ ჩემს აზრებს. . აქ კი, ამ კედლებში, ჰაერი დახშულია... იცოდე, რასაც ეხლა მთხოვ, ეს აღელვებულ ვნებისა და გრძნობათა წყვიტების უბრალო ფანტაზიაა და მეტი არაფერი. ჰო და აი, ჩემო Mine d'or-ო, როცა დაწყნარდები, შენ თითონ მიხვდები ყველაფერსა. ვინ ამბობს უარს, მეც ვიცი სიყვარული, მეც მწამს იგი, მაგრამ ასეთი სახით კი არა... არა, დორა, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ დედას გეფიცები, ეხლა შენ სტყუი... არ შემიძლიან არ შეგნიშნონ, რომ... ასეთს ტლანქს სიყვარულს, სიყვარული კი არ ეწოდება, არამედ ენიანობა... ხორციელი ენიანობა, რომელსაც ჰეშმარიტ სიყვარულთან არავითარი კავშირი არა აქვს.

გულზე მომეშვა, რომ ჩემი ბავშვური აღსარება თითქმის ბოლომდე მივიყვანე. დორამ კი, თითქოს ამ დროს უცდიდაო, შეიფთხრიალა, სახე აენტო, თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა და მძაფრი კილოთი მითხრა:

— მაშ ჩემი სიყვარული უბრალო ენიანობაა? ეს პირუტყული გრძნობა არის? საბრალო ბავშვო! — ისტერიულად გადიხარხარა და განაგრძო აღელვებით: ჰო, კარგი, კარგი... გზა მშვიდობისა, ჩემო კარგო, იყავ ბედნიერი და გისურვებ, რომ ეგ პლატონიური სიყვარული ამ ცოდვილს ჰეყენიერებაზე ოდესმე მაინც გეპოვნოს.

მეორე ოთახში შეიქრა. შემეშინდა, ცუდი ხომ არა განიზრახა რა — მეთქი.

— დორა, დორა! —

ცხვირწინ კარები მომიკეტა. ეს ჩემი სიკვდილი იყო. როგორც იყო სარკმელთან მივფარფატდი, რომ შუბლზე აღმური მომეშინდა. გადავეყუდე



გამოღებულ სარკმელის ჩარჩოს და დიდხანს, ძალიან დიდხანს გადავყურებდი დაბლა ეზოს, სადაც მთვარის ზვირთებში ჩანთქმულ წაბლის ხეებს თეთრ ყვავილის პეპელეებით ღამის ნიავეთან საარშიყო ჩურჩული გაჰქონდათ.

\* \*

...სრულებით ვერ მივმხდარიყავ, რად მიჯვარდებოდა დორა.

„განა მე ცუდად მოვიქეცი? — ვფიქრობდი ნაღვლიანად, ნუთუ თვითნებური პატიოსანი ადამიანი ჩემს ადგილას ასე არ მოიქცეოდა? ან და რას ნიშნავს, რომ მეც მიყვარს, იმასაც ვუყვარვარ, მაგრამ მისი სიყვარული სულ სხვა სახისაა, რომლის გახსენება სიწითლეს მოჰგვრის პატიოსანს“.

ასე ვფიქრობდი და თან და თან ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი სიყვარული სიყვარულისთვის იყო, რომელსაც დორას სიყვარულთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა.

— მე მწამს სიყვარული ციკვთა სწორი! წამოვიძახე აღელვებით. მართლაც, რომ ავიხედე, ლაყვარდ ტალღებზე მთვარე ნამგალო ნაფიი მოსცურავდა. მის მახლობლად კიდევ ობოლი ვარსკვლავი კიაფობდა, ორნივე ერთურთის სიყვარულის ჰანგს აქლერებდნენ, მაგრამ ორთავე მხრიდან მხოლოდ სიცივე მოდიოდა.

ასეთი ზღაპრული სიყვარული შეადგენს სიმშვენიერეს, რატომ ჩვენ კი არ შეგვიძლიან ასე მოვიქცეთ. ვფილოსოფოსობდი ჩემთვის. ვნაღვლობდი, რომ მსოფლიოს ასეთი მიჯნურობისა არა ესმოდა. ამასობაში დორაც გამოვიდა. შეკრთა, რომ იქვე დამინახა. დასიებულ თვალებზე ეტყობოდა, ეტირნა.

— შენ კიდევ აქა ხარ?

ხმა არ გავეცი.

— მე კი მეგონა აქნობამდინ ჩემს ბინას დასტოვებდი.

— დორა!.. — წავიჩურჩულე მუდარებით. საუბედუროდ, რაც თეორიები მქონდა, სულ ერთიანად გამიფრინდა. ისიც დიდი ვაეკაცობა იყო ჩემი, რომ ძირს დაშვებული ხელები დავუჭირე. შევკრთი. რამდენიმე წუთის წინად მხურვალე, ეხლა საშინლად შესეტყვილიყო. დამწვარი თვალის კილოები რაღაცა საიდუმლო ცეცხლს იკავებდნენ.

— დორა!..

ვცადე ხელახლად. მან უმნიშვნელო ღიმილით შემომხედა. სახეზე სულ უცნობი მეტყველება გამოეხატა. ვხედავდი, ვნების ქარეზიანებას გულში ისე გაეარნა, როგორც უდაბნოში...

— დორა, დორა, რატომ იტანჯავ თავს...

უკანასკნელად გავუბედე და ათროლოებით შევეცადე მის ქანდაკს შემოვხვეოდი. ახალი საოცრება: ტუჩები, შუბლი, თვით ლოყებიც კი ყინულის ზოდს მიდგენდნენ თვალწინ. მხოლოდ ეხლა დამიბრუნა კოცნა, მაგრამ ისე კი, თითქოს უნებური იყო, საიდუმლო კვნესის აუცილებელი ნაყოფი. მაგრამ შეცდომა გაისწორა:

— ახლა კი წადი!..

— დორა!..

— შენ მე არ მიყვარხარ, გესმის, ჩვენ ერთურთისთვის ზედმეტნი ვართ!..

ხელები ჩამომცვივდა. თვალით დამიბნელდა, თითქოს მეხი დამცემიყოს. როდესაც ჩემწინ ჩამოშვებული ბურუსი გაიფანტა, შევნიშნე, რომ სავარძელში ჩავშვებულყავი. ის კი ისევ იმ ადგილას იდგა უძრავად, მარცხენა ფეხვი წინ წამოედგა. ისე სჩანდა, თითქოს ძუ ვეფხვი მსხვერპლის თავდასასხმელად განმზადებულიყო: მკირეოდენი ღაიყო საჭირო ჩემის მხრით, რომ რისხვის ცეცხლი გადმოეყარა.

— დორა! — შევსძახე შეშინებულის ხმით. ვგონებ ხელებიც გავუწოდე. მაგრამ წარბიც არ შეინახა.

— მე შენი სიძულვილიც კი არ შემიძლიან; მითხრა ამაყად. — გასწი მონახე სულ სხვა ტოლი!.. ნუ გეგონება, ვითომც მე კურტიზანკა ვარ, არა! მე ქალი ვარ და ვეძებდი მამაკაცს, რომელიც შენში შეცდომით დავინახე. სასტიკი განცდა დამატყდა თავს, მაგრამ რას იზავ, ამას შემდეგში გავასწორებ.

დორა ისევ შიგნით ოთახში შეტრიალდა. გასაღების გადატრიალებაზე ვიგრძენ, კარები დამიკეტა. მაშინალოურად მივეარდი, მინდოდა კარები შემემტვრია, მაგრამ რომ ვერას გავხდი, ბავშვსავით მოვეყე ძახილს:

— კარი გააღე, დორა, გააღე-მეთქი ..

სამარისებური ღუმილი ხელახლად უარის ყოფას მანიშნებდა. ვითმინე, ვითმინე და რომ ვერას გავხდი, საშინელი ქვითინი ამიფარდა...

— აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, დორა, ღმერთმანი, არსადაც არ წავალ!..

მართლაც, ერთს საათამდინ დაყავამ ყოფაში,



ვეფიცებოდი ხან დედას, ხან პატროსნებას, მაგრამ არ იქნა, დორამ პასუხი არ მალირსა. ერთხელ თავის გაწირვაც კი მოვიდომე, მიველი სარკმელთან უბის წიგნიდან ფურცელი ამოვხიე, კარანდაშით დავწერე საჩქაროდ: „მშვიდობით, დორა, ჩვენს მეგობრობას რახან სასურველი ბოლო არ ექმნება, სჯობს დავშორდეთ სამუდამოდ. იყავ ბედნიერი, მრავალ-ჟამიერ. მე არასფერს გთხოვ, გარდა ერთის შენდობისას... შენგან შეურაცხყოფილი“ და სხვა.

რაინდობის წყურვილით გატაცებულმა, მართლა სარკმელის ჩარჩოზე შევესდგი ფეხი, მაგრამ... ძირს რომ გადავიხედე, შევკრთი, მართლა თავმა არ გადამძლიოს—მეთქი და ინსტიქტიურად ისევ უკან გადმოვხტი. გამოდგა, რომ რაინდული თავ-გამოდება მართლა არც აგრე ადვილი ყოფილა, როგორც ეს რომანის ფურცლებზე გვეჩვენება. ბარათი სწრაფად დაეხიე. თითქოს ცრუ თავ-მოყვარეობაც ესლა გამეღვიძა.

— როგორ? ქალს დავემორჩილო? არასოდეს! დორა სანამ თვითონ არ მოვა ჩემთან და ბოდიშს არ მოიხდის, ერთხელაც არ მოვდგავ აქ ფეხს!

ამ გარდაწყვეტილების შესრულებას იმ წამსვე შევუდექი.

— როგორც გენებოთ, ქ-ნო დორა, ისე მოიქეცით! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

რომ შიგნიდან პასუხი არ მივიღე, ახლა სიბრაზემ ამიტანა. თავმოყვარეობა თავმოყვარეობაზე მელახებოდა. სწრაფად გამოველ დერეფანში, ერთიკ მოვიხედე და, რა ზურგზე მოვიგდე ჩემი საზაფხულო წამოსასხამი, თითქოს კმაყოფილებით, თითქოს უკმაყოფილოდ გავეშურე ჩემი ბინისკენ:

— ჰე, ხომ გული მოვუკალი, „თქვენობით“ გამოველაპარაკე. არ მოელოდა, განა! უკაცრავად, მან დაივიწყა, თუ ვინცა ვარ!

მეორე მხრით კი იგივე სიბრაზე არ მასვენებდა:

— როგორ, ცხვირწინ კარები მომიხუროს, ისიც ვილაც გომბიომ, ურიის ღლაპმა? არა, პანე დორა! ანგარიში შეგეშალა! შენ არ იცი, რომ ქართველები სამხრელნი ვართ და ასეთს შეურაცხყოფას არავის ვაპატიებთ!

კიდევ დავემუქრე:

— დედაკაცი არარაობაა და არარობამდე მე არასოდეს არ დავმდაბლდები, რომ თავი გავუყადრო!

საოცარია, ზინაზე მისვლისასაც კი რატომღაც ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ დორა უსათუოდ ჩემთან უნდა მოსულიყო ბოდიშის მოსახდელად.

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება).

## ისევ კახეთის რკინის გზა

27 მარტს 1913 წ. დეპუტატთა საკრებულოში მოხდა კერძო თათბირი მარშალთა და დეპუტატთა (გაძლიერებული თბილისში დარჩენილ თავ.-აზნაურებით) კახ. რკ. გზის გამო.

თავ.-აზნ. კრებანი არას დროს არა ყოფილან მეტად დარბაისელნი და ლოლიკურ მიმართულებას დამდგარნი, მაგრამ ოთხშაბათის კრება პირდაპირ სამარცხვინო იყო ამ მხრივ. შეიძლება ეს დღე—ისტორიულ დღედ გადაიქცეს, როდესაც ქართველმა თავ.-აზნაურობამ გამოიჭრა ყელი თითონ, და უკურნებელი დაღი დაასვა ჩვენ ეროვნულ საქმესაც.

იმ თავ.-აზნ., რომელიც თავ-გამოდებით იცავდა კახ. რკ. გზის ცალკე არსებობას, რომელმაც ორიოდ შეუგნებელ კაცის წინააღმდეგ, გადაჭრით გამოსთქვა თავისი სურვილი და თავისი უფლება გადასცა ამ საკითხში დეპუტატთა საკრებულოს, რომ მას დაეცვა კახ. რკ. გზა quand même, რაც უნდა მოხდესო—დღეს სირცხვილელად უკან დაიხია და გამობრუნებელი საქმე თითქმის ჩაშალა.

რა მოხდა ასეთი, იკითხავს მკითხველი.

იმ ბანკმა, რომელიც აშენებს კახ. რკ. გზას. გადაჭრილი პასუხი მოსთხოვა თავ.-აზნ: მართლა გინდა კახ. რკ. გზაზედ პატრონობა, თუ ცარიელა სიტყვებითაო?

და ამისათვის შემდეგი პირობა დაუდო: იყავით პატრონი, მე ხელის შემშლელი არა ვარ, ოღონდ გარანტია მომეცით, რომ ნამდვილად შეისყიდით იმდენ აქციას, რამდენიც საჭიროა პატრონობისათვის—კიდევ 550,000 მამეთისას. ამისთანა ცხადს, მარტივს პასუხს, ამისთანა ადვილ გამარჯვებას, სწორე გითხრათ, ჩვენ ვერც კი მოველოდით და როცა საქმე მიდგა შესრულებაზედ, რამ-



დენიმე კაცმა კიდევ იპოვნა საშუალება საქმის გაძნელებისა.

ვიღრე გაგზავნილი დეპუტაცია ჩამოვიდოდა, —აქ, თბილისში გაავრცელეს ხმები (და „თემში“ დაბეჭდილიც იყო) ვითომ თვით პ. ი. თუმანიშვილი შევლოდა განცალკევებასაო და სრული მოლოდინი გვექონდა, რომ მისი მომხრენი და დამცველნი ისე ჯიუტად აღარ გამოეკიდებოდნენ საქმის დაღუპვასა; მაგრამ ნათქვამია: თუ წინამძღოლმა ერთი ვაშლი მოსწყვიტა, ჯარი მთელ ბაღს ამოაგდებსო და მართლაც, თუმანიშვილის დამქაშებმა ამოაგდეს... კახ. რკ. გზა თითქმის ყველა ორატორი იწყობდა იმით, რომ კახ. რკ. გზის დამოუკიდებლობა აუცილებელი და სასურველი არისო, მაგრამ—ხელზე იხვევდა ახალს პირობას ბანკისას და ისეთი დასკვნა გამოჰყავდა, რომლითაც არსებითად სპობდა ამ დამოუკიდებლობას.

საქმე შემდეგშია: პუტილოვი, რომლისგანაც ამ ხანად დამოკიდებულია კახ. რკ. გზის ბედი, მოითხოვს თავ. აზნ. გარდაწყვეტილს პასუხს, რომ იგი ყიდულობს კახ. რკ. გზის თავისუფლებას და რადგან ასე თავი გამოიღო, გარანტიად **ჯარიმას აწერს (неустойка) 500,000 მანეთს.** აი ამ ჯარიმამ აურია ვითომ დავთრები ყველას და შესცვალა გარემოებანი, მაგრამ, რომ ჩაუკვირდეთ, არავითარი ახალი, ან საშიში აქ არაფერი მომხდარა რა თავდააზნაურობის და მასთან ყოველი შეგნებული ქართველის სურვილი იყო **უექველად** შეეძინათ 50,000 მან. აქცია და ამით დაჰპატრონებოდა გზასა. ასე ჰქონდა დავალებული დეპუტატთა საკრებულოს თავ. აზნ. საგანგებო კრებისაგან და უფლება მიცემული საქმის წარმოებისა ისე, როგორც თვით კრებას (на правахъ чрезвычайнаго собранія). ყველა აქამდის მიღებული ზომა: კონცესიის მოპოება, რუსეთ-აზიის ბანკთან ცნობილი პირობის შეკვრა; შემდეგ ატეხილი ბრძოლა და შედეგები ამ ბრძოლისა; თხოვნა მეფის მოადგილისა, კოკოვცევისა, სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტისა და სულ უკანასკნელად პეტერბურგში დეპუტაციის გაგზავნისა—იქითკენ იყო მიმართული, რომ თავდააზნაურობას სურს და იბრძვის კახ. რკ. გზის დამოუკიდებლობისათვის, მაშასადამე მას სურდა რეალურად განხორციელებაც ამ სურვილისა და თუ პუტილოვმა ამას ანგარიში გაუწია, ჩვენი ვალია ორთავ ხელით მოვეჭიდოთ ახალს გარემოებას და დავთანხმდეთ ჯარიმაზედაც, თუ ჩვენი სურვილი ცარიელა ლაყბობა არ იყო.

უნდა დავთანხმდეთ იმიტომ, რომ ჯარიმა სრულიადაც საშიში არ არის, თუ კი ჩვენს სურვილს განვახორციელებთ, და შევიძენთ საქმეებს.

თავი და თავი საკითხი იმაშია—შევიძლებთ თუ არა ამდენი ფულის შოვნას? ჩვენა გვგონია, რომ თავ. აზნ. თუ იბრძოდა ამ უფლებისათვის—უნდა ეს გათვალისწინებული ჰქონოდა და ფინანსიური გეგმაც შეედგინა. კრებაზედ მართო **ამისათვის** უნდა მიექციათ ყურადღება, როგორც სრულ ჭეშმარიტებას აღიარებდა შ. მესხიშვილი, უნდა გარანტია გამოენახათ ფულის შოვნისა და ამ არგუმენტით დაეჩუმებინათ უთავბოლო მსჯელობა ისეთი პირებისა, რომელნიც ყველგან ჯოხებსა სწრიან ეროვნულ საქმის ეტლშია. დეპუტატთა საკრებულომ ამ შემთხვევაშიაც ვერ ისარგებლა თავისი პოზიციით, რომელიც გამარჯვებას უქადდა და თითქმის დაემორჩილა რამდენიმე „ოპოზიციონერის“ უსაბუთო შიშს, რომ ესეთი საქმე და ჯარიმა თავ. აზნაურობას საბოლოოდ დასცემს. და რამდენად უმწეონი იყვნენ „ახალი პირობათა“ წინააღმდეგნი—იმ თვალსაჩინო ფაქტიდანაც სჩანს, რომ თავმჯდომარის სიტყვაზედ: „მაშ ყველანი პრინციპიალურად მომხრენი ხართ დამოუკიდებლობისა...“ მხოლოდ ერთი ალექსანდრე დიასამიძე წამოხტა და განაცხადა პირდაპირ: არა, მე შეერთების მომხრე ვარ და თუ დეპუტატთა საკრებულო დასთანხმდა პუტილოვის მოთხოვნისაზედ, მაშინვე შევეკრებ თანამოაზრეებს (და, მგონი, ცოტანი არ იქნებიანო) და პროტესტს გავგზავნი პეტერბურგში, რომ ეს თავ. აზნ. სურვილი არ არისო: **dernier argument!** სხვა მოწინააღმდეგეთაგან უნდა აღინიშნოს სიტყვა ბატონ ივ. აფხაზისა, იმ აფხაზისა, რომელმაც ბანკის შარშანდელ კრებაზედ მთელი სამარცხვინო მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, რომ ყველა მიწები და მამულები, რაც ბანკსა რჩება, უნდა გროშის ფასად, დესეტინა მანეთად გავყიდოთო, უნდა მოვალეებმაც (недоимщики) მოურიდებლად გაუყიდოთო ყველაფერი, ოღონდ ბანკმა იხიროსო. მაშინაც სამართლიანად მოახსენეს ბატონ აფხაზს, რომ ასეთი კომბინაცია გაყიდვისა არ შეადგენს მიზანს ბანკისას და მ. გრუზინსკიმ ისიც აღნიშნა, რომ ამ ბანკის დანიშნულება—საზოგადო-სასარგებლო თანხა (общепользныи капитал) სდგება სწორედ მოვალეების შეღავათისიგან (изъ недоимокъ).

აი ამ აფხაზმა, რომლისთვისაც სულერთია ვინ



წაიღებს ჩვენს მიწა წყალს და რომლისათვისაც, რასაკვირველია, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საკითხებს, გარდა ფინანსიურისა, უცნაური საბუთები წამოაყენა: პუტილოვი რომ ასე ადვილად გვაძლევს აქციებს — ეგ იმიტომ, რომ არავითარი ფასი არა აქვთო; შეერთება უმჯობესია, ჩემის აზრით, (თუმცა ნამდვილად ვერ ვიტყვიო), რადგან პუტილოვი ამ აზრისა არისო და ბოლოს დაასკვნა: საკითხს ნუ კი გადავწყვეტთ — საგანგებო კრებაზედ გადავიტანოთო.

ყველა ამ დებულებას იმდენივე მოაზრება ეტყობა, რამდენიც ზემოდ-ხსენებულ მოხსენებას ბანკში: რომ პუტილოვი ადვილად არ იმეტებს აქციებს ეს იქიდანაც ცხადია ყველასათვის, რომ ამისათვის იყო მხოლოდ ბრძოლა და თავის ტეხა და მხოლოდ დიდი შეტაკების შემდეგ სთანხმდება იგი აქციების და მასთან თავ-აზნაურობის უფლების დაბრუნებას. რომ შეერთება უმჯობესია, აქ ივ. აფხაზი კიდევ ერთ ნახტომს აკეთებს და იმას, რაც უმჯობესია პუტილოვისათვის — ასაღებს როგორც უმჯობესს ჩვენთვის. ეს ან რა საკვირველია, როცა ადამიანს ვერ შეუგნია, რომ ჩვენი და პუტილოვის ინტერესები მოწინააღმდეგენი არიან. რომ ის, რაც მისთვის უმჯობესია, — ჩვენი დამლუპველია და vice versa.

შესაშე - დასკვნა — რომ საგანგებო კრებაზედ გადავიტანოთ საკითხი ახირებული ულოლიკობაა: კაცს ეუბნებიან: საკითხი შეერთებისა გადასწყდება პეტერბურგში ერთი კვირის უკან და საგანგებო კრება კანონით ორ კვირაზედ ადრე ვერ შეიკრიბება. მაშასადამე საგანგებო კრების შეყრა ცუხრობაა. და ამისთანა ლათაიებით ბატონი ივ. აფხაზი თვალს გვიხვევს: საკითხს ნუ კი გადავწყვეტთ, საგანგებო კრებაზედ გადავიტანოთო. და სანამ ჩვენ კრებას შევყრიდეთ — შეერთება სიღნაღ-ბაქოს და კახ. რკ. გზებისა უკვე ფაქტი იქნება. ეს თუ გადაწყვეტა არ არის საკითხისა — ან ულოლიკობა უნდა იყოს, ან სიმრუდე. არჩევანი მისთვის მიგვიჩნდება.

კრების ბოლოს გრ. რცხილაძემ ვრცელი და დასაბუთებული სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, თუ რამდენად უსაფუძვლოა ყველა ის შიში და არგუმენტაცია, რომელიც მოჰყავდათ ოპონენტებს: იურიდიულის მხრივ, მან განაცხადა, არავითარი საფრთხე არ მოელოს თავ-აზნაურობას, რადგან მას შეუძლიან ყოველთვის ჯარიმიანი პირობის შეყრა და ეს არ არის საბუთი, ვითომ ახალი პირობა —

უკანონო პირობა იყვეს; და უკიდურეს შემთხვევაში, უკანონობაც რომ იყვეს, — ეს ჩვენთვის ხელსაყრელი იქნებოდა და არა საშიშროებადგან. ამ არსებულ შემთხვევაში ჯარიმასაც ვერ გავსაზღვრებდენ. ფინანსიურად შეიძლება დაბრკოლება ყოფილიყო რომ ვერ ვიშოვით ფულსაო, მაგრამ, როგორც აქ მეორე ოპონენტმა განაცხადა (ვიორგი ამირეჯიბმა) თურმე თავ-აზნ. ორი მილიონის შოვნაც შეუძლიან, არამთუნ ახევარისა და რაშია მაშ საშიშროება?!

ბ. გ. რცხილაძე ერთად-ერთი იმდენად მოფიქრებული და გამბედავი ადამიანი გამოდგა, რომ სხვა, უმთავრესი მხარიდან შეხედა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს — ეროვნული თვალსაზრისით, და გაათავა სიტყვა მშვენიერის ილუსტრაციით, თუ რა ხდება ეხლავე კახ. ფოსტის გზაზედ, საცა ჩვენ, როგორც უცხოეთში, ქართულ სიტყვასაც ვერ გავიგონებთო.

საუბედუროდ, ეს დასაბუთებული სიტყვა გვიან იყო წარმოთქმული, როცა ხალხი დაღლილი და აღელვებული იყო წინად მოლაპარაკეთაგან.

კრება დაიშალა საკითხის გადაუწყვეტელად. გაგზავნეს რალაც დეპეშა, რომლის ტექსტი შეადგინა ივ. ჯაბაძარმა და რომლის შინაარსი არავინ იცის — პეტერბურგში. ეს კი ცხადია, აქციების ყიდვა-არყიდვა გადაუწყვეტელი დარჩა და მოგებული ბრძოლა, ხელახლადა გვმართებს.

ჩვენის აზრით, საკითხი კახ. რკ. გზისა იმდენად გამორკვეულია, მისი მნიშვნელობა ჩვენთვის, როგორც ეკონომიური ორგანიზაციისა და ეროვნული ხასიათის მატარებლისა — იმდენად დიდია, რომ ორი აზრის გამოთქმა ყოველად შეუძლებელია. თავ-აზნ. მოვალეა აასრულოს თავისი სურვილი არა იმიტომ მართო, რომ ამ საქმისათვის აქამდის იმდენი ამაგი და ფული დაუხარჯავს, არამედ იმიტომაც უფრო, რომ პასუხის მგებელია შთამომავლობის წინაშე, რომელსაც სამარცხვინო ანდერძს უტოვებს. A la guerre comme à la guerre, ამბობენ ფრანგები და თუ ბრძოლისათვის საჭიროა გაბედულება, рискъ, უნდა გაბედოს კიდევ, მოვალეა გაბედოს რადგან დაკარგვით უკიდურეს შემთხვევაში არას დაჰკარგავს და უკეთესში კი, თუ შესძლო ნახევარ მილიონის შოვნა, საშვილიშვილოდ ძვირფასს და სამაგალითო საქმეს დაგვიტოვებს და მოგებასაც ნახავს თვითონ როგორც პატრონი.



და რომ ქართლ-კახეთის თავ.-აზნ. შეუძლიან ძალიან ადვილად ნახევარ მილიონის შოვნა, ამას მტკიცებაც არ უნდა: იმ ძვირფასი მამულების პატრონს, როგორც ჩვენი თავად-აზნაურობაა (როგორც ორგანიზაცია), იმ თავ.-აზნ., რომელსაც წელიწადში 200—300 ათასი წმინდა შემოსავალი აქვს ბანკიდან და სხ., — ყველა დიდის სიხარულით მისცემს არამთუ ნახევარ მილიონს, ორ-სამ მილიონსაც. ადგილობრივაც, რუსეთშიაც, საზღვარ გარეთაც შეიძლება შოვნა ამ ფულისა სესხად ჭ თუ საზოგადოებრივი აზრიც მიემხრობა საკითხს — სულ ადვილად გავანადღებთ ნახევარ მილიონს.

ავილოთ ყველა მდგომარეობა: 1) უარესი: თუ ვერ ვიშოვით ფულს, გარდა იმისა რომ კახ. რკ. გზას ვკარგავთ, როგორც საკუთრებას, ჩვენ კიდევაც უნდა გადავიხადოთ ნახევარ მილიონი ჯარიმა. მაგრამ ჩვენ უკვე გვაქვს 400 ათასი მან. აქცია, რომელიც უარეს შემთხვევაში 200 ათასი მანეთი მანკ ეღირება და მაშასადამე მთელი გაბედულება (რისკი) ჩვენი 300 ათას მან. არ გადასცდება — რასაც 6—7 წლის გინმავლობაში ადვილად გადაიხდის. თავ.-აზნ. 2) ფული ვიშოვით და შევიძინეთ აქციები, მაგრამ გზას შემოსავლის მაგიერ ზარალი მოაქვს. მაშინ ორი გზა გვაქვს: ან უცადოთ, როცა 5—10 წ. შემდეგ ჩვენი გზა შემოსავლიანი გახდება, ან ჩვენი აქციები 950 ათასისა გავყიდოთ და ვალი მოვიშოროთ. ამ შემთხვევაში ჩვენ სულ არაფერს ვკარგავთ, რადგან 950 ათასი მან. აქციით ყოველთვის შეგვიძლიან ნახევარ მილიონ ვალის დაფარვა. 3) თუ გზა შემოსავლიანიც იქნება მაშინ ვალი საშიშიც აღარ არის ხომა და სრული გამარჯვებაც გვრჩება.

ეს უკანასკნელი მდგომარეობა უფრო მოსალოდნელიც არის, რადგან გზა რომ მომგებიანი არ იყვეს, ხომ არც თავს იღებდა რუსეთ-აზიის ბანკი (რომელიც ისეთ დიდ ავტორიტეტს წარმოადგენს ივ. აფხაზისთანა ურწმუნოთათვის) მის აშენებას, არც მთავრობა მისცემდა თავის გარანტიას.

ყველა ამ საკითხებს თავზედ დაჰფრენს უმაღლესი მოსაზრება, რომელიც უნდა გვიკარნახებდეს ამ გზის დამოუკიდებლობას ეს არის ეროვნული ემონომიკის აღორძინება, რასაც ეს გზა თვალსაჩინოდ წინ წასწევს. და იმისათვის არ უნდა გაუშვათ იგი ხელიდან იმ შემთხვევაშიაც, თუ კერძოდ თავ.-აზნაურობას ზარალს მოუტანს. მით უფრო რომ უარეს შემთხვევაში და მკაცრის გამოანგარიშებით, თავ.-აზნ. რამდენიმე წლის განმავლობაში და-

სჭირდება 30—50 ათასი მანეთის გაღება საკუთარი ხაზინიდან. მაგრამ ეროვნული საქმის წინაშე თავ.-აზნ. ნება არა აქვს ქედი არ მოიხაროს და თუ გაქირდა, ესეთი მსხვერპლიც არ მოიტანს.

ამიტომ საუკეთესო იქნებოდა დეპუტატთა საკრებულომ თანხმობა გამოუცხადოს პუტილოვს მის მოთხოვნილებაზედ. თუ შეიძლება, იურიდიულად უკეთესად შეიმუშაოს ხელშეკრულობა, რომ გარანტია პატრონობისა არ დაგვეკარგოს და ეხლავე, დაუყოვნებლივ შეუდგეს ფინანსიური პლანის შედგენას და განხორციელებას, რომ უკანასკნელ ვადაზე არ დაიწყოს გაფაციცებული ძებნა და საქმის გაკეთება, როგორც აქამდის ხდებოდა.

რ. გ.

## საადგილ-მამულო კომისიის რეორგანიზაცია

18 მარტს საადგილ-მამულო კომისიის სხდომამ საბოლოოდ შეიმუშავა კომისიის სარეორგანიზაციო გეგმა, და გადასცა განსახილველად სადებუტატო საკრებულოს რომ დასამტკიცებლად წარედგინოს მომავალ სათავად აზნაურო კრებას.

უმთავრესი მოტივი რეორგანიზაციისა იყო: მიეცეს მას საერობო საკრედიტო საზოგადოების ხასიათი წესდების ფორმით, რისთვისაც მოითხოვს საკმარისს დამოუკიდებლობას თავის მუშაობის დროს სადებუტატო საკრებულოსაგან, რომელსაც ენიჭება ფართო კონტროლის ფუნქციები.

ამ პროექტის შემუშავებაში, სხვა და სხვა დროს გამართულ თათბირებზედ, იღებდნენ მონაწილეობას ბევრი ჩვენი მოღვაწენი.

საბოლოოდ კი ეს პროექტი ერთხმად დაამტკიცა უკანასკნელ საადგილ-მამულო კომისიის კრებამ, რომელსაც დაესწრნენ შემდეგი წევრნი: ა. ნ. ქავკავაძე, დ. ა. ფავლენიშვილი, ს. რ. ვახვახიშვილი, ლ. ლ. ჩერქეზიშვილი, გ. რ. რცხილაძე, გ. რ. ამირეჯიბი.

დაწვრილებით ამ პროექტზედ ახლო მომავალში გვექნება საუბარი.



# ხატისოვის სერთუკი

ჩვენ პირველად გვიხდება წერა ეკრედ წოდებულ მუნიციპალურ სკანდალის, შესახებ, რომელიც გამოიწვია სასალახოში მომხდარ ბოროტ-მოქმედების გამომწვევამ. თუ აქამდის არაფერს ვამბობდით ამ ბოროტ-მოქმედების შესახებ, არა იმიტომ, რომ ეს ფრიად საინტერესო საქმე კერძოდ ჩვენ არ გვინტერესებდა. პირიქით დაუშრეტელის ინტერესით იყო გამოწვეული ეს ჩვენი სიჩუქე, რომლის დროს მუდამ თვალ-ყურს ვადევნებდით ამ აშბის განვითარებას და ჩვენი სურვილი იყო ჩვენი მიუდგომელი აზრი მაშინ გამოგვეთქვა, როცა ყველაფერი გამომწვევდებოდა.

ახლა ჩვენ მოვისმინეთ არა მარტო ბრალდება წამოყენებული ხმ. კეილის, სულაბერიძის და ტერტროვისგან, ჩვენ მოვისმინეთ აგრეთვე თავის დაცვა(ც) ბატონ ხატისოვისა და შემთხვევა გვეძლევა ჩვენი პირუფენელი სიტყვა ვსთქვათ. უპირველესად ყოვლისა ამ ისტორიაში ჩვენ გამოვდივართ არა ხმოსან სულაბერიძის მომხრედ, არამედ იმ ბრალდებისა, რომელიც წარსულ ორშაბათის შემდეგ ჩვენთვის ექვს ვარეშეა. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქის თვითმართველობაში ყველაფერი რიგზედ არ არის და ამიტომ ის რეაბილიტაცია, რომელიც მოახდინა ვითომ ბ. ხატისოვმა არავის დააკმაყოფილებს.

შედარებით ბრალდებასთან თავის დაცვა ბ. ხატისოვისა იმდენად სასაცილო და ოპერეტული იყო, რომ მას ანგარიშს არ გაუწევდა არც ერთი თავისთავის პატივისმკემელი და საზოგადო საქმის მოსამსახურე ხმოსანი. მაგრამ თუ ხმოსნებმა ვერ შეიშვნიეს თავისი როლი საზოგადო საქმის ინტერესების დამცველთა, ეს აიხსნება მართლაც იმ გარემოებით, რომ ბ. ხატისოვის „ბიძაშვილია“, არა მარტო ბ. ყორღანოვი, არამედ მთელი სოლოლაკიც, რომელთა წარმომადგენელთაგან შესდგება ჩვენი საბჭო.

ხატისოვს სურდა საბჭოს მისთვის ნდობა გამოეცხადებინა და კომედიაც ისე ჩაატარეს, როგორც იყო დაწერილი. რა საჭირო იყო ამისთვის კრების დანიშვნა, რა საჭირო იყო ბრალდების გამეორება და რა საჭირო იყო თავის მართლება და ახალი ვოტუმი, თუ მათთვის ეს ისედაც ცხადი იყო. თავის თავის სასიამოვნებლად ამის გამართვა არა ღირდა და თუ საზოგადო აზრისთვის იყო ნა-

თამაშევი ეს კომედია, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საზოგადო აზრი ბ. ხატისოვს და სოლოლაკელთ არ გაჰყვება.

განა შეიძლება ამის შემდეგ ვიფიქროთ, რომ ქალაქის ინტერესება უზრუნველ ყოფილია, როცა ყველა ქალაქის საქმე ბ. ხატისოვმა თავის სერთუკს დაადარა და უსირცხვილოდ განაცხადა: როცა მე მინდა სერთუკის შეკერვა, მკერვალთა კონკურსს კი არა ვმართავ, პირდაპირ შერემეტევეთან მივდივარ და ვაკერვინებო. მაგრამ თუ მკერვალი შერემეტევიც ისე ასრულებს ხატისოვის მიმართ თავის პირობებს, როგორც ბატონნი მოიჯარადარნი ქალაქის იჯარას და ხატისოვი მაინც აღტაცებულია თავის სერთუკით, აქედან დასკვნა მხოლოდ ერთია, რომ ხატისოვი, როგორც კერძო პირი, „სულელი ზაკაზჩიკია“ თავის ქვეიან მკერვალისა და ჩვენთვის საჭირო არ არიან ისეთი ქალაქის თავები, რომლებიც მუნიციპალურ აღზრდას მოდის სალონებში იღებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ხმოსნებმა ნება არ მისცეს სულაბერიძეს დაემთავრებინა თავისი სიტყვა და ყველაფერი ეთქვა, ბ. ხატისოვმა იმაზედაც ვერ გასცა პასუხი, რაც იყო ნათქვამი და ზოგიერთ ბრალდებას ისე ოსტატურად შემოუარა, რომ ყველასთვის ცხადი იყო, რომ ბ. ხატისოვი უფრთხოდა ამ ბრალდებით. შეგვიძლიან განა ყველა ამის შემდეგ ვსთქვათ, რომ ჩვენ მოვისმინეთ მიუდგომელი სიტყვა ქალაქის თავისა, რომელმაც გააშუქა ბევრი მიზნელელებული კუნტული თბილისის მუნიციპალიტეტისა, სადაც ასე ოსტატურად იკერება ბ. ხატისოვის და მის „ბიძაშვილთა“ სერთუკები? არასოდეს!

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბრალდება ისევ ძალაშია, ბოროტ-მოქმედება არსებობს სასალახოს აშენების საქმეში და სერთუკი ისე არ არის შეკერილი, როგორც ამას ქალაქის ინტერესები მოითხოვს.

ფ. ფ.

## კიევის კომერციულ ინსტიტუტიდან

კიევის კომერციულ ინსტიტუტში ასამდე ქართველი ვართ. მიუხედავად ამისა, საკუთარი სათვისტომო არა გვაქვს. არსებობს ეგრედ წოდებული




კავკასიური სათვისტომო, რომლის წევრებიც თითქმის სულ ქართველები არიან. საუბედუროდ, სათვისტომოში უთანხმოება არსებობს წევრთა შორის, რის გამოც ძალიან ბევრი გაუბრძან მას. სათვისტომოს გარდა, ქართველ სტუდენტებს გვაქვს სამეცნიერო წრე, რომლის მიზანსაც შეადგენს ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი შესწავლა. წრევანდლამდის სამეცნიერო წრე არა ოფიციალური იყო, წრეულს კი დირექტორის, ფროფესორ დოვნარ-ზაპოლსკის შემწეობით ოფიციალურად არსებობს. ამ წლის განმავლობაში სამეცნიერო წრეში შეუწყვეტელი მუშაობა სწარმოებდა. სამეცნიერო წრეს აქვას 50-მდე წევრი. წრე გაყოფილია ოთხ სექციად: ისტორიული, ლიტერატურული, ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური. ეკონომიურ სექციაში განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია კოოპერატიულ მოძრაობის შესწავლაზე ევროპაში და ჩვენში; სოციალურ სექციაში—ეროვნულ საკითხზედ. სამეცნიერო წრის მუყაითი მეცადინეობა შეფერხებულია წიგნების უქონლობით, ისე რომ ჩვენი პირდაპირი მიზანია, რაც შეიძლება მეტი წიგნები შევიძინოთ. გარდა ამისა, წრის მიზანს შეადგენს, რამდენადაც შესძლებს და გარემოება ხელს შეუწყობს. ყოველწლივ შეკრიბოს სტატისტიკური ცნობები საქართველოში, ამა თუ იმ ეკონომიურ დარგიდან, ჩვენ საქიროებათა შესასწავლად. წრეულობით წრეს განზრახული აქვს შეკრიბოს სტატისტიკური ცნობები ქუთაისის და შორაპნის მაზრაში **მელვანეობაზედ**, საერთო ეკონომიურ მდგომარეობასთან ერთად. კომერციულ ინსტიტუტის დირექცია ჩვენს განზრახვას ძალიან თანაგრძნობით მოეკიდა. აღგვიტქვეს მატერიალური დახმარება, აგრეთვე ტექნიკურ მუშაობაში მონაწილეობის მიღება. მართლაც პროფესორ რუსოვისა და ვოლჟინის დახმარებით შევიმუშავეთ გეგმა მომავალ მოქმედებისა, აგრეთვე კითხვებიც, რომელნიც აღნუსრულნი უნდა იყვნენ მცხოვრებთათვის წარსადგენად. ფურცლებზე სულ ორმოცდა-ათამდე კითხვა იქნება; მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული შემდეგ კითხვებს: 1) **რაოდენობა მიწისა:** ა) სახლ-კარის ადგილი, ბ) ვენახი ამერიკული ვაზით—ადგილობრივით, გ) სახნავი, ტყე და საძოვარი. 2) რამდენი ფუთი ყურძენი მოგდით ამერიკული, ადგილობრივი. 3) ერთი ფუთი ყურძენი საშუალოდ რა ფასში იყიდება ამერიკულისა, —ადგილობრივისა. 4) რამ-

დენი გაქვთ საშუალო შემოსავალი ამერიკული ვაზისაგან, —ადგილობრივისაგან. 5) რამდენ ფუთ ღვინოსა ჰყიდით ამერიკულ ვაზისას, —ადგილობრივისას. 6) რამდენად იყიდება ფუთი ღვინო ამერიკული ყურძნისა, —ადგილობრივისა. 7) საშუალო შემოსავალი ამერიკული ვაზის ღვინისაგან, —ადგილობრივისაგან. 8) რამდენი ფუთი ღვინო დაგრჩათ გაუყიდავი ამერიკული, ადგილობრივი. 9) ვინ არიან მყიდველები მუდმივნი თუ შემთხვევითნი. 10) რითი აიხსნება ღვინის გაუსაღებლობა, მყიდველის არყოლით, უგზობით თუ სხ. მიზეზით? 11) რა იარაღს ხმარობთ ყურძნის დასაწურად. 12) რამდენი ფუთი სიმინდი მოგდით, რამდენსა ხარჯავთ ოჯახის გამოსაკვებად და რამდენსა ჰყიდით. 13) რამდენი ფუთი პური მოგდით, რამდენსა ხარჯავთ ოჯახში და რამდენსა ჰყიდით. 14) საშუალო ფასი ფუთი სიმინდისა, —ფუთი პურისა? 15) რამდენი ფუთი ბამბა მოგდით, რამდენსა ხარჯავთ სახლში, რამდენ ფუთსა ჰყიდით. 16) რა ღირს ფუთი ბამბა. 17) რამდენი ფუთი აბრეშუმის ქისის პარკი შეაგროვეთ, რამდენი და როგორ გაჰყიდეთ? 18) რამდენი ფუთი ხილეულობა გაჰყიდეთ. 19) ჯამი მთელი თქვენი შემოსავლისა?

აქვე მოყვანილია კითხვები ოჯახის მეურნეობის გასავალის აღსანიშნავად აგრეთვე დაყენებულია კითხვა გამოსარკვევად თუ რომელი ნიადაგი უფრო ხელსაყრელია მევენახეობისათვის: წითელი, შავი მინა, თიხა, ქვიანი, კირიანი თუ ქვიშიანი. ამ მოკლე ხანში პროფესორი დოვნარ-ზაპოლსკი შუამდგომლობას აღძრავს ვაჭრობის და მრეწვ. მინისტრის წინაშე, რათა ნება დართოს ამ ფრიად სასარგებლო საქმის მოწყობას და სისრულეში მოყვანას. თუ გარემოებამ ხელი არ შეგვიშალა, ეს სიმპატიური აზრი განხორციელებული იქნება, რადგანაც, როგორც ზემოდ ვთქვი, პროფესორებიცა და სამეცნიერო წრის წევრები ძალიან მოწადინებულნი არიან. არა ზოგავენ ენერჯიას ღ შეგნებულად მუშაობენ: ერთად ერთი დაბრკოლება ეხლა უსახსრობაა. სამეცნიერო წრეს არ შესწევს ძალა ეს ხარჯი თავის თავზე მიიღოს. მართალია ინსტიტუტი დაგვიპირდა დახმარებას, მაგრამ იგი სავსებით ვერ დაჰფარავს ხარჯებს. იმედია, ქართული საზოგადოება ყურადღებით მოეპყრობა ჩვენ კარგ დასაწყისს, და ამ ფრიად სასარგებლო მიზნის განსახორციელებლად ხელს შეგვიწყობს, რო-





გორც წინააღმდეგ, აგრეთვე მატერიალურ დახმარებით.

სამეცნიერო წრის გამგეობის წევრი

ნ. დიდებულიძე.

# მ ა ნ გ ლ ი ს ი

მანგლისის სააგარაკო და სამოსახლო ადგილები აქამდე ექვემდებარებოდა ადგილობრივ პოლკს, სახელმწიფო გარდასახადის გარდა აქაური მკვიდრი, თუმცა დამტკიცებული აქვთ პოლკისაგან ეს ადგილები, მაინც უხდინდნენ პოლკს ჯეროვან იჯარას, ვინაიდან თავისუფალ ალაგებს პოლკი ფლობდა და ბატონ-პატრონიც ის იყო.

1911 წელს ზაფხულში აქ მოვიდნენ მაზრის უმფროსი, ხარჯთ ამკრეფი — ინსპექტორი, სამხედრო სამთო ინჟინერი და წარმომადგენელი სატყეო და მიწის მზომელ უწყებისა, ადგილობრივ პოლკისა და ერთი საპატოო წევრისა ქართველებიდან. მოიწვიეს ადგილობრივ რუსთა მცხოვრებნიც თვითეულ საზოგადოებიდან რამდენიმე კაცი, ამ შემდგარ კომისიას უნდოდა დაედო ფასი ადგილის მიხედვით. პოლკის და ქართველების წარმომადგენელთ შუამდგომლობაზე საყენი 50 კაპ. ვიდრე 3 მან. ადგილობრივმა რუსებმა კი 3 მან. ვიდრე 12 მან. რასაკვირველია რუსებს სულ სხვა აზრი ჰქონდათ, მათ მამულს ფასი მოემატებოდა, მაგრამ არა, ფიქრებმა ჩაუარესთ. კომისიამ წაიღო თან „კუპჩების“ პირი, შემტკიცებული ადგილობრივი პოლკის უფროსისაგან.

ხალხმა მაშინაც იგრძნო რომ მათ მახეს უგებენ, მაგრამ ვის რას ეტყოდნენ. 1840 წლებში შტაბში სამხედრო ყაზარმების მეტი არა ყოფილარა, ხალხს, იმ დროს გადმოსახლებულ და ზოგიერთ ადგილობრივ პოლკში ნამსახურ ჯარის კაცს, ტყე გაუჩენნიათ ხევ-ხუცები ამოუვსიათ, მიუსწორ-მოუსწორებიათ და დაუდგამთ საბლები, მათ მიჰყოლიან ქართველები და სომხები. ააგეს შტაბში სახლები, ზოგმა დუქნები, შეიძინეს პოლკის უმ-

ფროსისაგან ჯეროვანი ნასყიდობის ქაღალდები და სცხოვრობდნენ დღევანდლამდე უზრუნველად, დღეს

საქმე სხვანაირად დატრიალდა, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს აღუძრავს მათ მათ ეკუთვნის ეს ადგილები და არა პოლკს და არავითარი კანონიერი უფლება არა ჰქონდა პოლკს მამულების გაყიდვისა, რაზედაც უჩივლია და 9 იანვარს ამა წელს თბილისის საოლქო სასამართლოს შემდეგი რეზოლიუცია გამოუტანია: „ყველა კერძო პირებმა შენობები რა სხვა კულტურული გაშენებულება თუ ვისმე აქვს უნდა აილოსო“. თუ ამაზედ ერთი თვის განმავლობაში ჯეროვანი პასუხი არ შეიტანა ხალხმა გადაწყვეტილება ძალაში შევა. ხალხს ასეთ განკარგულების შემდეგ დიდი ჩოჩქალი შეუდგა. მიმართეს თხოვნით პოლკის უმფროსს ბ. მდივანს, თქვენ წინაპრებიდან გვაქვს შეძენილი ადგილები და თქვენვე უნდა გვიპატრონოთო. მეორე არზა მიართვეს მეფის მოადგილეს, სადაც სთხოვენ ადგილები უფასოდ დაეთაოთ მათ, თანახმად კავკასიის სამხედრო ოლქის დადგენილებისა 1897 წ. იანვრის 5 დღ. § 5—10 რითაც ნება ეძლევათ შეიძინონ მიწები სამკვიდრო ფლობელობით იმ პირთაც კი რომელნიც ახლად დასახლდნენ შტაბში.

ყოველ შემთხვევაში ხალხი სთხოვს მეფის მოადგილეს ნება მიეცეთ გამოისყიდონ ხსენებული ადგილები იმ ფასად, როგორც ფასობდა იმ წლებში, როცა მათ ეს ადგილები დაიჭირეს.

თქვენი მტერი, რომ ხალხს ცუდი დღე დაადგება, თუ მართლა ჩამოერთვა ეს ადგილები, და თუ ნება მისცეს გამოისყიდვისა ხელ-მეორედ, მაშინაც დიდს ვალში უნდა ჩავარდეს კაცი, ვინაიდან საყენი 3—12 მანეთამდეა დაფასებული.

სემიტო.

რედაქტორ-გამომცემელი


რ. გაბაშვილი.



მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

# კოოპერატიული ღვინო


საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხა-ბადში, ტაშკენტში, ბათუმში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მეზიანათა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866<sup>1</sup>/<sub>2</sub> ღვინის ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

## კალა ერთობაშია!

კახელებო! ჩვენთვის საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოება — გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უპაანასწავლ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მამიდრად დაუმნებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.